**თუნახავოლიმპიადა მშობლიურ ენაში**

**I ტური**

**მე-5 კლასი**

**I სავარჯიშო: არსებითი და ზედსართავი სახელები. შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ (10 ქულა)**

**1. როგორია ხაზგასმული არსებითი სახელი წინადადებაში?**

**„სასიამოვნოდ უკრავდა ლილე ფორტეპიანოზე.“**

ა) საზოგადო ბ) საკუთარი გ) კრებითი

**2. რომელ ბრუნვაშია ხაზგასმული არსებითი სახელები წინადადებაში:**

**„<u>სიცოცხლისა</u> და <u>სიყვარულის</u> სურნელი ტრიალებს ირგვლივ.“**

ა) სახელობითში ბ) მიცემითში გ) ნათესაობითში

**3. რომელია ზედსართავი სახელის კითხვა?**

ა) როგორი? ბ) რამდენი? გ) სად?

**4. ჩამოთვლილი სახელებიდან რამდენია ზედსართავი სახელი?**

**„მზეთუნახავი, სასარგებლო, სამშობლო, მოხერხებული, სამწუხარო,“**

ა) ორი ბ) სამი გ) ხუთი

**5. რამდენი არსებითი და რამდენი ზედსართავი სახელია ტექსტში?**

**„მიწა დაიფარა შავიხნულებით, გაზაფხულის სუნმა ჰაერი გააბრუა, კუდმაკრატელა მერცხლის ჭიკჭიკმა ქვეყანა შეძრა.“**

ა) ხუთი არსებითი და სამი ზედსართავი სახელი

ბ) ექვსი არსებითი და ოთხი ზედსართავი სახელი გ) შვიდი არსებითი და ორი ზედსართავი სახელი

**II სავარჯიშო: რიცხვითი სახელები და მათი მართლწერა. შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ (10 ქულა)**

**6. რომელია რიცხვითი სახელი?**

ა) დაუძლურებული ბ) ოცდახუთი გ) გაბრაზებული

**7. მარტივი რაოდენობითი რიცხვითი სახელებია:**

ა) ათი, ორმოცდაორი, ორმოცდაათი ბ) ათი, ოცი, ასი გ) სამი, თორმეტი, ცამეტი

**8. რომელია სწორად დაწერილი რიცხვითი სახელი?**

ა) ას ოცდა ერთი ბ) ხუთასი გ) II-ე

**9. რომელია სწორად დაწერილი რთული რიცხვითი სახელი?**

ა) ორასშვიდი ბ) ორას შვიდი გ) მეორასშვიდე

**10. რომელია სწორად დაწერილი რთული რიცხვითი სახელი?**

ა) მე-15 ბ) მე-15-ე გ) მე-50-ე

**სავარჯიშო ალტასგან. გისურვებთ წარმატებებს!**

**III სავარჯიშო: ნაცვალსახელი და მისი ჯგუფები. შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ (20 ქულა)**

**11. პირის ნაცვალსახელებია:**

ა) ჩვენ, თქვენ, შენ ბ) ზემოთ, ქვემოთ, მაქეთ გ) ეგ, ეს, იგი

**12. კუთვნილებითი ნაცვალსახელია:**

ა) ჩემი ბ) თქვენ გ) მათ

**13. ჩვენებითი ნაცვალსახელი ეს გამოხატავს:**

ა) მესამე პირთან სიახლოვეს ბ) მეორე პირთან სიახლოვეს გ) პირველ პირთან სიახლოვეს

**14. რომელ წინადადებაშია გამოყენებული მეორე პირის ნაცვალსახელი?**

ა) ჩვენ გვიყვარს თევზაობა. ბ) თქვენ საუბრობთ სტუმართმოყვარეობაზე. გ) მათ ახალი სახლი შეიძინეს.

**15. რომელ წინადადებაშია შეცდომა?**

ა) ბიჭმა მეგობარს მისი წიგნი ათხოვა. ბ) დედამ თავისი მოსასხამი დიდედას გაატანა.

გ) მონადირეები თავიანთ ნანადირევს თავს დასტრიალებდნენ.

**IV სავარჯიშო: ზმნები და მათი მართლწერა. შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ (20 ქულა)**

**16. ზმნის რომელი დროა წინადადებაში:**

**„დიდებული დღე თენდება ჩვენი ოჯახისთვის.“**

ა) ახლანდელი ბ) წარსული გ) მომავალი

**17. ზმნის რომელი დროა წინადადებაში:**

**„წევს ბომბორა მურა ძაღლი და არემარეს ზვერავს.“**

ა) ახლანდელი ბ) წარსული გ) მომავალი

**18. რომელ წინადადებაშია დაშვებული შეცდომა?**

ა) დიდი სახლის აივანზე სავარძელში ჩამჯდარ ბაბუს ტკბილად ეძინა.

ბ) მხიარულობდენ ზღვაში მოცურავე დელფინები.

გ) ყველაფერი კარგად აეწყო და კესანეც მთაში გაემგზავრა.

**19. რომელ წინადადებაშია დაშვებული შეცდომა?**

ა) ხის ტოტებზე შემომჯდარიყვნენ ბელურები და საცოდავად მობუზულიყვნენ.

ბ) გვიყვარს სწავლა და წიგნი, გვიყვარს გარჯა და შრომა.

გ) ვუამბობთ ჩვენს შვილებს წინაპართა გმირობაზე.

**20. რომელია სწორად დაწერილი ზმნა?**

ა) ჩაუცვავს ბ) დაუბამს გ) დაურტყავს

**V სავარჯიშო: ტექსტის გააზრება. შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ (40 ქულა)**

ნაკადული

„მიყვარს ნაკადული, პატარა, ანკარა, ღულღულ-ჩუხჩუხით ტკბილად მომავალი თავის ვიწრო, ათასფერად აყვავებულ საწოლში.

მიყვარს იმისი კიდეები, დაბალი და მსუქანი ბალახით შებურვილი და ამ ბალახში მარგალიტივით გაბნეული თეთრი გვირილები.

მიყვარს ნაკადული, დილით, როდესაც მის პატარა ტალღებში ამომავალი მზე ალმაცერად აციმციმებს და პირს ბანს თავის ბრწყინვალე სხივებს.

მიყვარს ნაკადული მთვარიან ღამეში, როდესაც იმისი ტკბილი ღულღუნი ღამის მუდროებაში ერთი ათასად უფრო ტკბილდება. მთვარის მკრთალი ნათელით ოქრო-ვერცხლდება და დაღონებული ადამიანის გულს და თვალს სიმშვიდით და სიმშვენიერით ეფერება.

მიყვარს ნაკადული მაშინაც კი, როდესაც ავდრის შემდეგ შუბლს შეიკრავს, ფერს გამოიცვლის და ხმამაღლა რიხიან ბაასს დაიწყებს.

მაგრამ ყველაზე უფრო ნაკადული მე იმისთვის მიყვარს, რომ ის არის სიცოცხლის მომასწავებელი, გამაცოცხლებელი, სულისჩამდგმელი, ედემად მქცევი გამხმარი შავი დედამიწის გულისა. მიყვარს იმიტომ, რომ ნაკადულს, ტკბილ მოღულღუნეს, ვერცხლისებრ ბრჭყინვალეს და დედოფლურად

ტურფად მოკაზმულს ძალუძს, ააყვავილოს მიდამო და ბუნებას სული ჩაუდგას და ადამიანის საზრდოდ გადააქციოს.“

**21. როგორია ნაკადული?**

ა) პატარა, ანკარა. ბ) ცივი და ხმაურიანი გ) მკაცრი და შფოთიანი

**22. რას ნიშნავს „ათასფრად აყვავებული საწოლი“?**

ა) კალაპოტს ბ) ადამიანების ყიჟინას გ) მთების მშვენიერებას

**23. რომელი მხატვრული ხერხია გამოყენებული ფრაზაში: „მარგალიტივით გაბნეული თეთრი გვირილები.“**

ა) გაპიროვნება ბ) შედარება გ) გაზვიადება

**24. პირველად ნაკადულის პატარა ტალღებში:**

ა) პირს იბანს მზე ბ) პირს იბანენ ყვავილები გ) პირს იბანენ ადამიანები

**25. ვის თანაუგრძნობს ღამის ნაკადული?**

ა) ყველას, ვისაც სურს ბ) დაღონებული ადამიანის გულს გ) გახარებულ მთვარეს

**26. რა მხატვრული ხერხია გამოყენებული ფრაზაში: „ავდრის შემდეგ შუბლს შეიკრავს, ფერს გამოიცვლის და ხმამაღლა რიხიან ბაასს დაიწყებს.“**

ა) გაპიროვნება ბ) შედარება გ) გაზვიადება

**27. როდის ბაასობს ნაკადული რიხიანად?**

ა) დილით ბ) საღამოს გ) ავდრის შემდეგ

**28. როგორია სიტყვებია: ავდარი და სულისჩამდგმელი?**

ა) მარტივი ბ) რთული გ) მსგავსი მნიშვნელობის

**29. ძალუძს ანუ:**

ა) მღერის ბ) ცეკვავს გ) შეუძლია

**30. რა ყოფილა ავტორისთვის ნაკადულის მთავარი დანიშნულება?**

ა) სული ჩაუდგას ბუნებას და ადამიანის საზრდოდ გადააქციოს

ბ) ხმაურიანად ჩაირბინოს თავის კალაპოტში გ) წაულიღინოს მთებს

**100 ქულიანი ტესტი დასრულდა. შემდეგი სავარჯიშო ბონუსია. მოცემულია 5 შეკითხვა, თითო 4 ქულიანი. დამატებითი ქულებით ტესტში დაშვებული შეცდომების ანაზღაურება შეგიძლია.**

**ბონუს სავარჯიშო. შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ (20 ქულა)**

**ბონუს შეკითხვა ავერსისგან**

**31. “ავერსი” როგორც წარმატებული და ცნობადი ბრენდი ..... ჯილდოს მფლობელია.**

ა) არაერთი ბ) არა ერთი გ) არც ერთი

**32. ვის ეკუთვნის მოთხრობა „იავნანამ რა ჰქმნა?!”?**

ა) ილია ჭავჭავაძეს ბ) იაკობ გოგებაშვილს გ) ვაჟა-ფშაველას

**33. როგორ გესმით მხატვრული გამონათქვამი:**

„შიშისგან გული გაუსკდა“?

ა) ძალიან შეეშინდა ბ) ძალიან გაბრაზდა გ) ძალიან ეწყინა

**34. როგორ გესმით მხატვრული გამონათქვამი: „პირში წყალი მაქვს დაგუბებული“?**

ა) წყალს ვსვამ ბ) მწყურია გ) ვერაფერს ვამბობ

**35. დაასრულეთ ანდაზა: „რაც არ გერგება .... “**

ა) არ შეგერგება ბ) სხვას შეერგება გ) მას ნუ მოინდომებ